ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №01-07/03

დაბა ქედა, 23 მარტი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 14:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე- ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/03 ბიუროს სხდომა

23 მარტი, 2022 წელი

#	სახელი გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 მარტის №01-07/03 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეზოლუცია „უკრაინაში რუსეთის სამხედრო ესკალაციის შესახებ“;

3. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მომუშავე პირთა თვიური შრომის ანაზღაურების 10%-ის უკრაინის ომში დაზარალებული თუ უმწეოდ დარჩენილი უკრაინელი მოქალაქეებისთვის ფულადი დახმარების სახით გაწევის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

5. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

6. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

7. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

9. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 მარტის №01-07/03 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1. **მოისმინეს:** „ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი (დადგენილება) პროექტი და განმარტა, რომ მიზანშეწონილია საკრებულოს მორიგ სხდომაზე დადგენილების პროექტზე დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (წერილის ნომერი: 12-95220562-95, 25.02.2022 წელი) და განისაზღვროს შესაბამისი კომისია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე;

3. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადება.

2. **მოისმინეს:** ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეზოლუცია „უკრაინაში რუსეთის სამხედრო ესკალაციის შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წინადადებით შემოსული - „უკრაინაში რუსეთის სამხედრო ესკალაციის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეზოლუციის პროექტი (წერილის ნომერი: 95-95220561, 25.02.2022 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რეზო თურმანიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა რეზოლუციის ტექსტის დამტკიცება, რადგან სამართლებრივად საკრებულო არა უფლებამოსილია მიიღოს მსგავსი ტიპის დოკუმენტი, აქვე

აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველოსბოს კოდექსის" 24-ე მუხლით განსაზღვრულია საკრებულოს უფლებამოსილებები, შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე ისეთი საკითხის განხილვა რაც არ განეკუთვნება საკრებულოს კომპეტენციას სამართლებრივად გაუმართლებელია.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაერთხელ დაუფიქსირებია პოზიცია უკრაინაში ფართო მაშტაბიან ომზე, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მხვრივ გახსნილია ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი და ყველა მოქალაქეს, მათ შროის საკრებულოს წევრებსაც აქვთ შესაძლებლობა მათი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ გამოხატონ რეალურად, სხვადასხვა სახის არამალფუჭებადი პროდუქტების, თუ ფინანსური სახსრების გაგზავნით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 10

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი არ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

3. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მომუშავე პირთა თვიური შრომის ანაზღაურების 10%-ის უკრაინის ომში დაზარალებული თუ უმწეოდ დარჩენილი უკრაინელი მოქალაქეებისთვის ფულადი დახმარების სახით გაწევის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მომუშავე პირთა თვიური შრომის ანაზღაურების 10%-ის უკრაინის ომში დაზარალებული თუ უმწეოდ დარჩენილი უკრაინელი მოქალაქეებისთვის ფულადი დახმარების სახით გაწევის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და აქვე აღნიშნა, რომ ,,მიმდინარე წლის 4 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს მიერ გაკეთდა მომართვა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ აღნიშნულ ინიცირებულ საკითხზე, რაზედაც ქედის მუნიციპალიტეტის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით სამ სამუშაო დღეში ფრაქციის თავმჯდომარე დავით სირაბიძეს გაეგზავნა საკრებულოს თავმჯდომარის მოტივირებული უარი, თუმცა რეგლამენტით გათვალისწინებული წესით საკრებულო უფლებამოსილი იყო შვიდი სამუშაო

დღის ვადაში შეკრებილიყო, ამიტომ 16 მარტისათვის დღის 12 საათზე საკრებულოს აპარატმა უზრუნველყო სხდომისათვის პროცედურული და სამართლებრივი საკითხების ორგანიზება, მაგრამ სხდომა კვორუმის არ არსებობის გამო ვერ გაიმართა. ,,აღნიშნული ინიცირება სამართლებრივად, რომ არასწორი იყო ამაზე მოტივირებული უარიც გაიგზავნა ჩემს მიერ და უმრავლესობის არდასწრების მიზეზიც ბუნებრივია ეს იყო, თუმცა ვინაიდანაც საკითხი სხდომაზე ვერ გავიდა, რადგან კვორუმის არ არსებობის გამო 16 მარტის №3 რიგგარეშე სხდომა ჩაიშალა, პროცედურულად აღნიშნული ინიცირებული საკითხის (წერილის ნომერი: 95-95220631, 04.03.2022 წელი) საკრებულოს უახლოეს მორიგ სხდომაზე განხილვის შესახებ გადაწყვეტილება ბიურომ უნდა მიიღოს" - აღნიშნა სხდომის თავმჯდომარემ.

საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 10

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი არ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95220813-95, 22.03.2022 წელი), საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გულადი წითელაძე, ხოლო თანამომხსენებლად საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე.

5. **მოისმინეს:** ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ საკითხი (წერილის ნომერი: 12-95220594-95, 28.02.2022 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომის დღის-წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე, ხოლო თანამომხსენებლად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე;

6. **მოისმინეს:** ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ საკითხი (წერილის ნომერი: 12-95220592-95, 28.02.2022 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი გივი დევაძე,

ხოლო თანამომხსენებლად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე;

7. **მოისმინეს:** ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ საკითხი (წერილის ნომერი: 12-95220541-95, 23.02.2022 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი შოთა ბერიძე, ხოლო თანამომხსენებლად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე;

8. **მოისმინეს:** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ საკითხი (წერილის ნომერი: 12-95220532-95, 22.02.2022 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი დავით თედორაძე, ხოლო თანამომხსენებლად საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე;

ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ შეეხო უკრაინა-რუსეთის ომის საკითხს და განაცხადა, რომ „უკრაინაში მიმდინარე ფართო მაშტაბიანი ომი ნამდვილად მტკივნეული საკითხია, თითოეული ჩვენთაგანი მაქსიმალურად ჩართულია ჰუმანიტარული, თუ ფინანსური დახმარებით მეგობარი სახელმწიფოს მიმართ. დახმარების საკითხი ნებაყოფილებითია მაინც, ვინ/როგორ და რამდენად დაეხმარება უკრაინის მოქალაქეებს თანამშრომლებს ვერ დავავალდებულებ, თუმცა აღვნიშნავ, რომ მოსახლეობას და მთავრობას ერთგვარად მაღალი პასუხიმგებლობით გვაქვს გათავისებული ეს საკითხი და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს უკრაინის მიმართ ჩვენი ქვეყნიდან აღნიშნული ტიპის დახმარებები. ვიმედოვნებ მალე დასრულდება ეს ომი, რომელსაც უამრავი უდანაშაულო, შვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე ემსხვერპლა და მშვიდობას ვუსურვებ მთელი გულით უკრაინელ ერს“.

ამ განცხადების გაკეთების შემდგომ ამირან ცინცაძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: გივი დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

6. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);

3. დამტკიცებული დღის-წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი: ნონა ბერიძე